ეროვნული უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ზრდის დაბალანსება: საქართველოს თავდაცვის სტრატეგიის ანალიზი, ეკონომიკური შედეგები და სტრატეგიული არჩევანი

თეა ბიძინაშვილი
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

დავით შალიკიანი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოს თავდაცვის სტრატეგიების გაანალიზებისას ნათლად ჩანს, რომ თავდაცვის ხარჯები, მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკულია ეროვნული უსაფრთხოებისთვის, წარმოადგენს კომპლექსურ ეკონომიკურ გამოწვევას. ბალანსი თავდაცვის ინვესტიციებსა და სხვა მნიშვნელოვან სექტორებს შორის, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება და ინფრასტრუქტურა, კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ესტონეთისა და შვედეთის შემთხვევის შესწავლა აჩვენებს მათი თავდაცვის სტრატეგიების ეკონომიკურ შედეგებს. ესტონეთის ინვესტიცია კიბერუსაფრთხოებასა და ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაში, სამხედრო შესაძლებლობებთან ერთად, ემსახურება თავდაცვის ინოვაციებთან და ეკონომიკურ ზრდასთან დაბალანსების მოდელს. ანალოგიურად, შვედეთის თავდაცვის სექტორი, რომელიც გამოირჩევა საჯარო-კერძო პარტნიორობით და ინოვაციებსა და ექსპორტზე ორიენტირებით, აჩვენებს თუ როგორ შეუძლია თავდაცვას ხელი შეუწყოს ეკონომიკურ სტაბილურობას სხვა სექტორების გამოფიტვის გარეშე.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული უსაფრთხოება, თავდაცვის სტრატეგია, ტოტალური თავდაცვა, თავდაცვის ხარჯები.

BALANCING OF NATIONAL SECURITY AND ECONOMIC GROWTH: ANALYSIS OF GEORGIA'S DEFENSE STRATEGY, ECONOMIC OUTCOMES, AND STRATEGIC CHOICES

Tea Bidzinashvili
Associate Professor of GTU
Davit Shalikiani
Phd student of GTU

RESUME

In analyzing Georgia's defense strategy, it is clear that defense spending, while critical for national security, presents a complex economic challenge. The balance between defense investment and other crucial sectors like healthcare, education, and infrastructure is delicate. The case studies of Estonia and Sweden show the economic implications of their defense strategies. Estonia's investment in cybersecurity and technological infrastructure, alongside its military capabilities, serves as a model of balancing defense with innovation and economic growth. Similarly, Sweden's defense sector, marked by public-private partnerships and a focus on innovation and export, demonstrates how defense can contribute to economic stability without overwhelming other sectors.

Keywords: National security, Total defense, defense spending.

შესავალი

ეროვნული უსაფრთხოება არის ყოვლისმომცველი და მუდმივად ცვლილებებში მყოფი კონცეფცია, რომელიც მოიცავს როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ასპექტებს. ბოლო წლების განმავლობაში, განსაკუთრებით ცივი ომის შემდეგ, მრავალი ქვეყანა ეძებს ახალ და უფრო ეფექტურ მექანიზმებს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რაც არა მხოლოდ სამხედრო რესურსების განვითარებას, არამედ ტოტალური თავდაცვის სტრატეგიების დანერგვას გულისხმობს. ტოტალური თავდაცვა არის კონცეფცია, რომელიც აქცენტს არამხოლოდ სამხედრო ძალებსა და უსაფრთხოების პოლიტიკაზე, არამედ საზოგადოების, ეკონომიკის და ყველა სამოქალაქო სექტორის ჩართულობაზე მოიცავს.

საქართველო, როგორც აღმოსავლეთ ევროპაში მდებარე პატარა ქვეყანა, არაერთი გამოწვევის წინაშე დგას – გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ისტორიული კონფლიქტები და მასთან მეზობლად არსებული საფრთხეები, ამ გზით ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. 2013 წელს ჩაშენებული ტოტალური თავდაცვის სისტემა, რომელიც ყველა სფეროს მოიცავს, თვლის, რომ მხოლოდ სამხედრო უსაფრთხოების გაძლიერება არ არის საკმარისი – აუცილებელია ჩართული იყოს მთელი საზოგადოება, ეკონომიკა და სხვა ინსტიტუტები, რათა ეროვნული თავდაცვა იყოს ეფექტური და მდგრადი.

სტატია იკვლევს საქართველოს ტოტალური თავდაცვის სტრატეგიის ეკონომიკურ ასპექტებს და აანალიზებს მის როლს ქვეყნის უსაფრთხოების უზ-

რუნველყოფასა და ეკონომიკურ განვითარებაში. ის განიხილავს, თუ როგორ შეუძლია ამ სტრატეგიას ხელი შეუწყოს გლობალური და რეგიონული გამოწვევების დაძლევას. შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ესტონეთისა და შვედეთის მაგალითებით, სტატია აფასებს თავდაცვის ხარჯების გავლენას სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

ძირითადი ნაწილი

ეროვნული უსაფრთხოება ყოველთვის იყო კრიტიკული ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს გლობალურად. ცივი ომის პერიოდის შემდეგ ტოტალური თავდაცვის კონცეფცია კვლავ აღიარებულია როგორც მნიშვნელოვანი. აღნიშნული სისტემა განსაკუთრებით, მცირე ქვეყნებში, წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს არა მხოლოდ ეროვნული უსაფრთხოების რისკებისა და გამოწვევების შესამცირებლად, არამედ, რიგ შემთხვევებში, მათი ნეიტრალიზებისათვის. ტოტალური თავდაცვა, როგორც კონცეფცია, გულისხმობს არა მხოლოდ სამხედრო ძალების გამოყენებას, არამედ ძლიერი სამოქალაქო თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბებას, რაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ეკონომიკისა და პოლიტიკური სტრუქტურების გათვალისწინებაზე თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის შედგენის პროცესში (თევზაძე, 2019).

2013 წლიდან საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ტოტალური თავდაცვის სისტემის (TDS) ჩამოყალიბებას, ხოლო დროთა განმავლობაში ამ სისტემის შესახებ ჩანაწერები გაჩნდა ეროვნული დონის მნიშვნელოვან კონცეპტუალურ დოკუმენტებში, როგორებიცაა „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ და „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2025-2028“. უწყებრივ დონეზე, 2017 წლიდან, თავდაცვის სამინისტრო აქტიურად ახორციელებს რიგ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია აღნიშნული სისტემის განვითარებაზე, რაც ასახულია სხვადასხვა უწყებრივ დოკუმენტებში (სურმავა, 2021).

ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთვის ტოტალური თავდაცვის სისტემა დღეითიდღე ხდება ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის ქვაკუთხედი. ეს მიდგომა არა მხოლოდ პრიორიტეტს ანიჭებს სამხედრო მზადყოფნას, არამედ ფოკუსირებულია კრიტიკული ინფრასტრუქტურის მდგრადობის შენარჩუნებასა და მაღალტექნოლოგიური თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე, აგრეთვე უწყებათაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესებაზე. ამასთან, ტოტალური თავდაცვის სტრატეგიის სრულფასოვანი განხორციელება მოითხოვს მასშტაბური ფინანსური რესურსების მობილიზებას, რაც საბიუჯეტო პოლიტიკის წინაშე ქმნის მნიშვნელოვან დილემას. კერძოდ, სახელმწიფოს უწევს რთული ბალანსის დაცვა თავდაცვის სექტორის გაძლიერებასა და სხვა კრიტიკულ სოციალურ-ეკონომიკურ მიმართულებებს შორის, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება და ინფრასტრუქტურული განვითარება. აღნიშნული გამოწვევა თანხვედრაშია კლასიკურ *“guns vs. butter”* პარადიგმასთან, რომელიც ასახავს რესურსების გადანაწილების დილემას სამხედრო და სამოქალაქო დანიშნულებებს შორის. ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ფორმირება და რესურსების ისეთი სტრატეგიული განაწილება, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ეროვნული უსაფრთხოების გამყარებას, ისე გრძელვადიან სოციალურ კეთილდღეობას.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს საქართველოს ტოტალური თავდაცვის სტრატეგიის ეკონომიკური ასპექტების ანალიზს, აქცენტით მის გავლენაზე ეროვნულ უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ განვითარების დინამიკაზე. შედარებითი მეთოდოლოგიის გამოყენებით სტატიაში განიხილება ესტონეთისა და შვედეთის თავდაცვის მოდელები, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს თავდაცვითი სექტორისთვის გამოყოფილი რესურსების ეფექტი დასაქმების მაჩვენებლებზე, მშპ-ს ზრდის ტემპზე და სოციალური კეთილდღეობის ინდიკატორებზე. კვლევის ცენტრალური მიზანია გაარკვიოს, რამდენად შეძლებს ტოტალური თავდაცვის კონცეფცია საქართველოში სტრატეგიული მდგრადობის უზრუნველყოფას გლობალური გამოწვევების პირობებში, როგორიცაა კიბერსაფრთხეები, გეოპოლიტიკური არასტაბილურობა და ტექნოლოგიური ტრანსფორმაციები. აღნიშნულ კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოლიტიკის ადაპტაციის მექანიზმებს, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია თანამედროვე საფრთხეების პირობებში თავდაცვის სისტემის ეფექტიანობისა და გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ თავდაცვის ხარჯები გადამწყვეტ როლს თამაშობს ქვეყნების ეკონომიკური სტრატეგიების ფორმირებაში. ეს პროცესი გულისხმობს ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცების პარალელურად, მდგრად ეკონომიკური განვითარებას, რაც თავის მხრივ მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან დაბალანსებული არჩევანის გაკეთებას თავდაცვის ხარჯებსა და ინვესტიციებს შორის, ეს ყოველივე კი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ისეთ საკვანძო სექტორებში, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება და ინფრასტრუქტურა. ამ კონტექსტში, ეკონომიკური საქმიანობის ზღვრული სარგებლიანობის თეორია უზრუნველყოფს ანალიტიკურ ჩარჩოს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია შეზღუდული რესურსების პირობებში ოპტიმალური არჩევანის გაკეთება და ამავდროულად იმ სექტორების იდენტიფიცირება, რომლებიც მაქსიმალურად შეიტანენ წვლილს საერთო საზოგადოებრივ სარგებელში.

ზღვრული სარგებლიანობის თეორია, რომელიც

რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და მათი მაქსიმალური ეფექტიანობით განაწილების პრინციპს ემყარება, სახელმწიფოს ავალდებულებს საბიუჯეტო პოლიტიკის ისეთ ფორმირებას, რომელიც სოციალური კეთილდღეობის ზრდას შეუწყობს ხელს. თავდაცვის სფეროში ინვესტიციების ზრდამ შესაძლებელია სახელმწიფოს, ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში მისცეს გარკვეულ სტრატეგიული უპირატესობა. თუმცა, როდესაც სახელმწიფო ზრდის დანახარჯებს ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური მომსახურების დაფინანსების შემცირების ხარჯზე, ჩნდება უკუპროდუქტიული ხარჯვის რისკიც.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ის შემთხვევა, როდესაც თავდაცვის ბიუჯეტიდან მიღებული დამატებითი სარგებელი ვერ ანაზღაურებს იმ ზიანს, რომელიც გამოწვეულია სხვა სექტორებში მაგალითად, ჯანდაცვაში დაფინანსების დეფიციტით. ასეთ პირობებში, შეიძლება შეიქმნას ვითარება, სადაც ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობა იკლებს, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის ფიზიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე. შედეგად, როცა თითოეული დამატებითი ლარი თავდაცვის ხარჯებში იძლევა ნაკლებ ეკონომიკურ სარგებელს, ვიდრე იმავე რესურსის მიმართვა სხვა სფეროში, ეს მიუთითებს საბიუჯეტო რესურსების არაეფექტურ და შესაძლოა არასამართლიან განაწილებაზე.

ეს ფაქტორები ხაზს უსვამს საჭიროებას, რომ ბიუჯეტური დაგეგმვა ემყარებოდეს არა მხოლოდ უსაფრთხოების აუცილებლობას, არამედ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ანალიზს, რომელიც ითვალისწინებს ყველა სექტორში რესურსების ზღვრულ სარგებელს და მათ გავლენას გრძელვადიან სოციალურ სტაბილურობაზე.

განსაკუთრებული მაგალითი, რომელიც ამ ურთიერთობას ცხადყოფს, არის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციის მიერ 1980-იან წლებში მიღებული გადაწყვეტილება სამხედრო ხარჯების გაზრდასთან დაკავშირებით. ცივი ომის პერიოდში გამოწვეული საფრთხეების საპასუხოდ, თავდაცვის შესაძლებლობების გაზრდა პრიორიტეტული გახდა, რაც ეროვნულ ბიუჯეტში 28%-ს შეადგენდა. ამავე დროს, ჯანდაცვის ბიუჯეტზე გამოყოფილი თანხები შემცირდა 5%-მდე, რამაც გამოიწვია მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალის დეფიციტი, ბიოტექნოლოგიური ინდუსტრიის კლების პროცესი და საზოგადოებისათვის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა (Robert C. Wesley, თ/გ).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ითქვას, რომ თავდაცვითი ხარჯების გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული სარგებელი, თუმცა აუცილებელია გავითვალისწინოთ ის, თუ რის ხარჯზე ხდება ეს ყოველივე და რა შედეგებს მოიტანს ესა თუ ის გადაწყვეტილება, როგორც მოკლევადიან ისე გრძელვადიან პერსპექტივაში, ხოლო ბალანსის შესანარჩუნებლად და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას საზოგადოების საერთო სარგებლობის მაღალი დონის მიღწევა.

მეორეს მხრივ, თავდაცვის ხარჯებს შეუძლიათ ეკონომიკის სტიმულირება მულტიპლიკატორის ეფექტის მეშვეობით, რა დროსაც გაწეული დანახარჯების სანყისი რაოდენობა გამოიწვევს მთლიანი ეკონომიკური აქტივობის ზრდას. როდესაც მთავრობა ინვესტიციებს ახორციელებს სამხედრო ინფრასტრუქტურულ პროექტებში, როგორიც არის ახალი ტექნოლოგიების განვითარება ან თავდაცვის შეიარაღებისა და აღჭურვილობის წარმოება, ის არ ქმნის მხოლოდ სამუშაო ადგილებს უშუალოდ ამ სექტორებში. მაგალითად თუ მთავრობა სამუშაოების განსახორციელებლად დაიქირავებს კერძო კომპანიებს, აღნიშნული გამოიწვევს ამ სექტორში დასაქმების ზრდას. შემდეგ დაქირავებულები მიღებულ შემოსავალს ხარჯავენ საკვებზე, ტანსაცმელსა და სხვა საქონელზე, რასაც სარგებელი მოაქვს ადგილობრივი ბიზნესისთვის. 2018 წელს აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტმა 10 მილიარდი დოლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა Microsoft-ს, ინფორმაციული უსაფრთხოების ღონისძიებებთან დაკავშირებული პროცესების წარსამართავად. ამ კონტრაქტის შედეგად Microsoft-ს მოუწია დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და ამავდროულად მისი აქციები 2,5%-ით გაიზარდა და ფასმა 144,35 აშშ დოლარს მიაღწია (Guardian News & Media Limited, 2019).

აქვე უნდა აღნიშნოს ისიც, რომ თავდაცვის ხარჯებს შეუძლიათ ეკონომიკის სტიმულირება მოკლევადიან პერიოდში. მაგალითად თუ მთავრობა დიდ ინვესტიციას ჩადებს თავდაცვის სფეროში, მაგრამ უგულებელყოფს განათლებას, ამ გადაწყვეტილებამ შესაძლოა შექმნას მოკლევადიანი სამუშაო ადგილები, მაგრამ დროთა განმავლობაში ნაკლებად განათლებულმა პერსონალმა შეიძლება შეაფერხოს სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო შექმნის ძლიერ სამხედრო ძალას, მაგრამ შედაგად მივიღებთ უფრო სუსტი ეკონომიკას.

ზემოაღნიშნული მაგალითები საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ რისკები და ამავდროულად შევარჩიოთ ეფექტური სტრატეგია ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. გლობალურ ასპარეზზე არსებული გამოცდილება საქართველოს საშუალებას მისცემს გააძლიეროს თავდაცვის შესაძლებლობები და ეფექტურად განახორციელოს ტოტალური თავდაცვის კონცეფცია ეროვნული მიზნების მისაღწევად. ყოველივე ამის გათვალისწინებით ერთ-ერთი დოკუმენტი რომელიც უახლოეს ვადიან პერიოდში წარმოადგენს ეროვნულ სამოქმედო გეგმას, ნათლად წარმოაჩენს იმ მიმართულებებს რომლის განხორციელებასაც გეგმავს სახელმწიფო მომდევნო 2025-2028 წლის პერიოდში.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს თავდაცვის დაგეგმვის ერთ-ერთ მთავარ სახელმძღვანელოს წარმოადგენს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) 2025-2028 წლების დოკუმენტი, რომელიც ასახავს ქვეყნის ფისკალურ და სტრატეგიულ პრიორიტეტებს. დოკუმენტი ხაზს უსვამს სტაბილურ ეკონომიკურ წინსვლას საქართველოში, რაც უზრუნველყოფს მშპ-ს 4-5%-იან ზრდას. დოკუმენტის მიხედვით, თავდაცვის ხარჯები წარმოადგენს უმთავრეს პრიორიტეტს, რომელიც ყოველწლიურად ითვალისწინებს მშპ-ს დაახლოებით 2%-ს. 2024 წლისთვის თავდაცვის მთლიანი ბიუჯეტი ორიენტირებული იყო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ლოჯისტიკასა და კიბერუსაფრთხოებაზე. საკვანძო ინვესტიციები მიზნად ისახავდა სამხედრო მზადყოფნის გაძლიერებას და ნატოს სტანდარტებთან მიახლოებას, განსაკუთრებით ტანკსაწინააღმდეგო და საჰაერო თავდაცვის სისტემების მიმართულებით. აღსაღნიშნავია ისიც, რომ დაგეგმილი თავდაცვის ბიუჯეტები სტაბილურად გაიზრდება და 2028 წლისთვის 1,91 მილიარდ ლარს მიაღწევს (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო).

საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტისა და 2025-2028 წლებში პროგნოზირებული ეკონომიკური ზრდის მონაცემების მიხედვით, დასტურდება ქვეყნის ძალისხმევა სამხედრო შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით, რაც შესაძლოა დადებითად აისახოს ქვეყნის ეკონომიკაზე. მიზანმიმართული ინვესტიციები მაღალ პრიორიტეტულ სფეროებში, როგორიცაა ტანკსაწინააღმდეგო სისტემები, საჰაერო თავდაცვა, არტილერია და კიბერუსაფრთხოება, მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო ფოკუსირებულია თავდაცვითი ხარჯების თითოეული ერთეულის სარგებლობის ოპტიმიზაციაზე. ნატოს სტანდარტებთან მიახლოვებით, საქართველო ცდილობს მაქსიმალურად გაზარდოს თავდაცვის ხარჯების ზღვრული სარგებელი ეროვნული უსაფრთხოების კუთხით.

მულტიპლიკატორული ეფექტის თვალსაზრისით, თავდაცვის ბიუჯეტის გამოყოფა ისეთ სფეროებზე, როგორიცაა ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიები, ლოჯისტიკა და სამხედრო განათლება, ქმნის მცირე მოლოდინებს ეკონომიკის სტიმულირების მიმართულებით. სამხედრო ინფრასტრუქტურაში და ლოჯისტიკის მიმართულებით განსახორციელებელი ინვესტიციები, არა მხოლოდ გააუმჯობესებს სამხედრო ეფექტურობას, არამედ სავარაუდოდ შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს და ხელს შეუწყობს ტექნოლოგიების განვითარებას.

მთლიანობაში, უნდა აღინიშნოს, რომ თავდაცვის ბიუჯეტის პროგნოზები აკმაყოფილებს სარგებლობის მაქსიმიზაციის პრინციპებს, რადგან ისინი რესურსების ოპტიმალურ განაწილებას ითვალისწინებენ იმ სფეროებზე, სადაც ყველაზე დიდი ზღვრული სარგებელი შეიძლება იყოს მიღწეული, როგორც უსაფრთხოების, ისე ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით.

გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ანალიზი ქმნის ოპტიმისტურ მოლოდინებს თუმცა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს თავდაცვის სისტემა შედარებული იყოს ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა ესტონეთი და შვედეთი. აღნიშნული სახელმწიფოების თავდაცვის სტრატეგიების ანალიზი ხელს შეუწყობს ტოტალური თავდაცვის სისტემის ეფექტურობისა და ეკონომიკური შედეგების უკეთ გაგებას.

ესტონეთი, ისევე როგორც საქართველო, რუსეთთან პირდაპირი საზღვრის ქონის გამო, გეოპოლიტიკურად უკიდურესად მოწყვლად ზონად ითვლება, რაც განაპირობებს მის უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პირდაპირი სამხედრო აგრესიის მსხვერპლი გახდა, ესტონეთმა მოახერხა თავდაცვითი ბიუჯეტის სტაბილურად ზრდა და 2024 წლისათვის თავდაცვის ხარჯები მშპ-ის 3.4%-მდე გაზარდა ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ აღემატება საქართველოს შესაბამის მონაცემს. (SIPRI Military Expenditure Database, 2025).

აღნიშნული განსხვავება ცხადყოფს, რომ თავდაცვის დაფინანსება არ არის მხოლოდ საფრთხეების ობიექტურ შეფასებაზე დამოკიდებული, არამედ ასახავს სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებისყოფას, ინსტიტუციურ სიმძლავრესა და სტრატეგიული დაგეგმვის ხარისხს. შესაბამისად, ესტონეთის მაგალითი ადასტურებს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ეროვნული უსაფრთხოების შენარჩუნება შეუძლებელია თავდაცვის ხარჯების სისტემური და პროპორციული ზრდის გარეშე. აღსაღნიშნავია ისიც, რომ ბოლო წლებში ესტონეთმა მნიშვნელოვნად გაზარდა ინვესტიციები კიბერუსაფრთხოების და C4I (ბრძანება, კონტროლი, კომუნიკაციები, კომპიუტერები და დაზვერვა) სისტემებში, როგორც მისი ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის ნაწილი. ესტონეთის ეროვნული თავდაცვის განვითარების გეგმა ფოკუსირებულია მაღალტექნოლოგიური შესაძლებლობების ინტეგრირებაზე სამხედრო თავდაცვაში, რათა უზრუნველყოს სწრაფი რეაგირება როგორც კინეტიკურ, ასევე ჰიბრიდულ საფრთხეებზე.

ესტონეთის სახელმწიფოს თავდაცვის ხარჯების მულტიპლიკატორულმა ეფექტმა, განსაკუთრებით კიბერთავდაცვის ინდუსტრიებში, დადებითად იმოქმედა სახელმწიფოს ეკონომიკაზე, სამუშაო ადგილების შექმნისა და ინოვაციების ხელშეწყობის გზით. გასული ათწლეულის განმავლობაში, ესტონეთის თავდაცვის სამინისტრომ დაახლოებით 6 მილიონი ევროს ინვესტიცია მოახდინა თავდაცვის კვლევაში და განვითარებაში, რითაც მოახდინა ისეთი ძირითადი ტექნოლოგიების განვითარება, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, რობოტიკა და კიბერუსაფრთხოება. თავდაცვის სამინისტრო თავდაცვის საინვესტიციო ბიუჯეტის 50-60%-

ს მიმართავს ადგილობრივ ინდუსტრიებზე, რაც ხელს უწყობს 100-ზე მეტი კერძო საკუთრებაში არსებული კომპანიის ზრდას, რომლებიც აწარმოებენ უპილოტო სახმელეთო მანქანებიდან დაწყებული ხელოვნური ინტელექტზე დაფუძნებული პროგრამულ უზრუნველყოფის სისტემებით დამთავრებული სხვადასხვა ტიპის მაღალტექნოლოგიურ პროდუქციას. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ესტონეთის თავდაცვისა და უსაფრთხოების ინდუსტრიის ინოვაციების გაერთიანება მიზნად ისახავს 2029 წლისთვის ექსპორტის მოცულობების ათჯერ გაზარდოს. ეს სტრატეგია კი თავის მხრივ გაზრდის სამუშაო ადგილებს თავდაცვის სექტორებში, რაც თავის მხრივ თავდაცვაში განხორციელებულ ინვესტიციებს მისცემს დადებით უკუგებას (European defence matters, 2024).

შვედეთის თავდაცვის სისტემის ეკონომიკური გავლენა აშკარაა მის უნარში შეინარჩუნოს ეროვნული მდგრადობის მაღალი დონე ეკონომიკაზე ზეწოლის გარეშე. შვედეთი იყენებს კარგად განვითარებულ თავდაცვის ინდუსტრიას, რომელიც ფოკუსირებულია ინოვაციებსა და ექსპორტზე. 2022 წელს შვედეთის თავდაცვის ინდუსტრია შეფასდა დაახლოებით 3 მილიარდ დოლარად სადაც ექსპორტის წილი ჯამურად 2 მილიარდია. ეს მნიშვნელოვანი საექსპორტო შესაძლებლობები ხაზს უსვამს შვედეთის უნარს შეინარჩუნოს ძლიერი თავდაცვის სექტორი, რომელიც არა მხოლოდ აკმაყოფილებს ეროვნული უსაფრთხოებისი საჭიროებებს, არამედ ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკას გახდეს უფროს ძლიერი (Jason C. Moyer, 2024).

გარდა ამისა შვედეთის თავდაცვის სექტორი ხასიათდება ძლიერი სახელმწიფო-კერძო პარტნიორობით. ამ თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითია Cybercampus Sweden-ის ჩამოყალიბება უნივერსიტეტებში, კვლევით დაწესებულებებში, სამთავრობო უწყებებსა და ბიზნესში. კამპუსის მიზანია ინოვაციებისა და უნარების განვითარების ხელშეწყობა ქვეყნის მასშტაბით. შვედეთის მთავრობამ 2024 წელს გამოყო 25 მილიონი შვედური კრონა კამპუსისთვის, ხოლო 2025 წლისთვის გეგმავს აღნიშნულ დაფინანსების 40 მილიონამდე გაზრდას (Ministry of Defence, თ/გ).

საქართველოს, ესტონეთისა და შვედეთის გამოცდილებაზე დაყრდნობით შეუძლია განავითაროს სახელმწიფოს თავდაცვის სტრატეგები, განსაკუთრებით კიბერუსაფრთხოების, საჯარო-კერძო პარტნიორობისა და ინოვაციების სფეროებში. ესტონეთის ფოკუსირება მაღალტექნოლოგიურ შესაძლებლობებზე, როგორიცაა კიბერუსაფრთხოება და C4I სისტემები, შესაძლოა გამოსადეგი იყოს საქართველოს შემთხვეაშიდაც. მსგავსი ტექნოლოგიების ინტეგრირება საშუალებას მისცემს ქვეყანას გაზარდოს თავისი შესაძლებლოებები როგორც კინეტიკური, ისე ჰიბრიდული საფრთხეების დასაძლევად.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის წახალისება, როგორც ესტონეთის და შვედეთის მაგალითებზე ჩანს, ხელს შეუწყობს ადგილობრივი ინდუსტრიის ზრდას და განვითარებას ინოვაციების მიმართულებით, განსაკუთრებით ისეთ სექტორებში, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი და რობოტიკა. საქართველომ ასევე უნდა განიხილოს ექსპორტზე ორიენტირებული თავდაცვის სტრატეგიის შემუშავება, შვედეთის მსგავსად, გლობალურ ბაზრებზე წვდომის მიზნით, რაც გაზრდის ეკონომიკას ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერების პარალელურად.

აქვე უნდა ითქვას, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხად რჩება ეკონომიკურ მდგრადობასთან მიმართებაში თავდაცვის ხარჯების დაბალანსების პროცესი, როგორც ამას აკეთებს შვედეთი. საქართველოს შეუძლია მიაღწიოს იდენტურ მდგომარეობას ინვესტიციების ფოკუსირებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა კვლევა-განვითარება (R&D) და ინოვაციები. თავდაცვასთან დაკავშირებულ კვლევებში გრძელვადიანი ინვესტიცია ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას, შექმნის სამუშაო ადგილებს და გააძლიერებს საქართველოს ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს, რაც ხელს შეუწყობს, როგორც ეროვნულ უსაფრთხოებას, ასევე საზოგადოების კეთილდღეობას.

დასკვნა

თავდაცვის ხარჯები, პოლიტიკური გადაწყვეტილებები და უსაფრთხოების საჭიროებები მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან. გამოწვევად რჩება ისეთი ბალანსის პოვნა, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტებს, ხოლო ამავე დროს არ ავნებს გრძელვადიან ეკონომიკურ კეთილდღეობას. გადაჭარბებულმა თავდაცვის ხარჯებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს სახელმწიფო ფინანსებზე და გამოიწვიოს რესურსების გადინება ისეთი კრიტიკული სექტორებიდან, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება და ინფრასტრუქტურა. მეორე მხრივ, არაეფექტიანმა თავდაცვითმა ინვესტიციებმა შესაძლოა ქვეყანა დატოვოს დაუცველი, ხოლო ამავდროულად გამოიწვიოს ეროვნული სიძლიერის ძირითადი კომპონენტების დეგრადაცია.

ტოტალური თავდაცვის მხარდამჭერი ეკონომიკური მოდელის წარმატებული განხორციელება მოითხოვს თანმიმდევრულ და სტრატეგიულ ნაბიჯებს, რომლებიც ემყარება როგორც მყარ ეკონომიკურ დაგეგმვას, ისე უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებას. პირველ რიგში, აუცილებელია მოკლევადიან პერიოდში ჩამოყალიბდეს უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც გააერთიანებს ეკონომიკის, თავდაცვის, განათლებისა და ტექნოლოგიური განვითარების სფეროს ექსპერტებს. აღნიშნული ჯგუფი პასუხისმგებელი იქნება იმ ერთიანი ჩარჩოს

ფორმირებაზე, რომელიც დააკავშირებს ეროვნული უსაფრთხოების მიზნებს ეკონომიკურ ინსტრუმენტებთან და შექმნის მოდელს რესურსების მიზნობრივი და ეფექტიანი განაწილებისათვის.

შემდეგი ეტაპი სასურველია განხორციელდეს მონაცემებზე დაფუძნებულ სამოქმედო გარემოს სიღრმისეულ ანალიზი, რა დროსაც საჭიროა შეფასდეს საქართველოს ეკონომიკაში თავდაცვითი ინვესტიციების პოტენციური ეფექტიანობა, გამოიკვეთოს ის ინდუსტრიები, რომლებიც არა მხოლოდ სტრატეგიული უსაფრთხოების მნიშვნელობის მატარებელია, არამედ გააჩნია ზრდის მაღალი პოტენციალი. ამ ინდუსტრიებში მოიაზრება მძიმე მრეწველობა, სამხედრო ტექნოლოგიების წარმოება, კრიტიკული ინფრასტრუქტურა, საინფორმაციო ინფრასტრუქტურა და კიბერუსაფრთხოება.

სამოქმედო გარემოს ანალიზის შემდეგ, აუცილებელია მიზანმიმართული ინვესტიციების მობილიზება. რა დროსაც უნდა შეიქმნას ისეთი სპეციალური დაფინანსების მექანიზმები, რომელიც ადგილობრივ სტარტაპებსა და ტექნოლოგიურ ჰაბებს მისცემს შესაძლებლობას განვითარდნენ უსაფრთხოების საჭიროებებზე მორგებული პროდუქციის წარმოების მიმართულებით. ამავდროულად, სასურველია დაინერგოს საგადასახადო შეღავათები იმ საწარმოებისთვის, რომლებიც თავდაცვის სექტორში აქტიურად ჩაერთვებიან.

ადამიანური კაპიტალის განვითარება ამ მოდელის განუყოფელი ნაწილია და მისი ინტეგრაცია განათლების სისტემაში უნდა იყოს უწყვეტი და სისტემური პროცესი. აუცილებელია, შემუსავებული იქნას ეროვნული კადრების განვითარების გეგმა, რომელიც სტრატეგიულ პრიორიტეტად განიხილავს საინჟინრო, ინფორმაციული უსაფრთხოების, თავდაცვის ეკონომიკისა და საგანგებო სიტუაციების მენეჯმენტის სპეციალიზაციებს. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასურველია შეიქმნას სპეციალური სასწავლო პროგრამები, რომლებიც დააკმაყოფილებს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორების საჭიროებებს. ამასთანავე, მხარდაჭერა უნდა გაეწიოს დამოუკიდებელ კვლევით ცენტრებს, რომლებიც იმუშავებენ მოდელის თეორიული და პრაქტიკული სრულყოფისთვის.

ზემოაღნიშნული პროცესების პარალელურად, საჭიროა ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა და თავდაცვითი ხარჯების მონიტორინგის გამჭვირვალე სისტემა. თავდაცვის ბიუჯეტი უნდა დაფუძნდეს არა ფიქსირებულ მაჩვენებლებზე, არამედ დიფერენცირებულ ინდიკატორებზე, რომლებიც ასახავს ეკონომიკურ ზრდას, საერთაშორისო საფრთხეების დონესა და ინოვაცია-ტექნოლოგიური განვითარების პოტენციალს.

დასკვნის სახით, ეფექტური ეროვნული თავდაცვისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა მოითხოვს სტრატეგიულ, უწყვეტ და მონაცემებზე დაფუძნებულ მიდგომას. თავდაცვის ხარჯების, ეკონომიკური დაგეგმვისა და ადამიანური კაპიტალის განვითარების ინტეგრირებული მართვით, საქართველოს შეუძლია შექმნას მოდელი, რომელიც ერთდროულად გააძლიერებს ეროვნულ უსაფრთხოებას და ხელს შეუწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ კეთილდღეობას. ამ პროცესში გადამწყვეტია გამჭვირვალე ფინანსური მექანიზმების დანერგვა, სტრატეგიული ინდუსტრიების მხარდაჭერა და განათლების სისტემის მიზნობრივი განვითარება, რაც ქვეყანას საშუალებას მისცემს, გაუმკლავდეს თანამედროვე გამოწვევებს და უზრუნველყოს მდგრადი მომავალი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. European defence matters. (2024 წლის 05 ოქტომბერი). eda.europa. მოპოვებული eda.europa.eu: https://eda.europa.eu/webzine/issue22/cover-story/industry-led-mod-supported/#-დან

2. Guardian News & Media Limited. (2019 წლის 26 ოქტომბერი). Guardian News & Media Limited . მოპოვებული uardian.com: https://www.theguardian.com/technology/2019/oct/26/microsoft-wins-pentagons-10bn-cloud-computing-contract-დან

3. Jason C. Moyer, H. W. (2024 წლის 23 იანვარი). The Wilson Center. მოპოვებული wilsoncenter.org: https://www.wilsoncenter.org/article/swedens-contributions-nato-bolstering-alliances-defense-industry-and-air-capabilities-დან

4. Ministry of Defence. (თ/გ). Government Offices of Sweden,. მოპოვებული government.se: https://www.government.se/contentassets/f095f1d430164d2c9af6d66a40a30130/strategic-direction-for-defence-innovation.pdf-დან

5. Robert C. Wesley, J. M. (თ/გ). HEALTH AND SOCIAL CONSEQUENCES OF EXCESSIVE MILITARY SPENDING. JOURNAL OF THE NATIONAL MEDICAL ASSOCIATION, VOL. 82, NO. 10, 694.

6. SIPRI Military Expenditure Database. (2025 წლის 13 მაისი). მოპოვებული milex.sipri.org: https://milex.sipri.org/sipri-დან

7. თევზაძე, ქ. (2019 წლის 24 დეკემბერი). პირველი არხი. მოპოვებული 1tv.ge: https://1tv.ge/video/totaluri-tavdacvis-dziritadi-principebi/-დან

8. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (თ. გ.). mof.ge. მოპოვებული mof.ge: https://www.mof.ge/5737-დან

9. სურმავა, გ. (2021). საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. მოპოვებული https://gfsis.org.ge/: https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Georgian--2992.pdf-დან